საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ეს კოდექსი ჩვენს უფლებებს ირღვევა

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

USAID
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

საია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რვა მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს

დღეს საიამ ზურაბ ჯაფარიძის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რვა მუხლის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა. კერძოდ:

- 32-ე - ადმინისტრაციული პატიმრობა;
- 33-ე - ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესი;
- 233-ე - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე;
- 236-ე - მტკიცებულებანი;
- 237-ე - მტკიცებულებათა შეფასება;
- 240-ე - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი;
- 264-ე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას გამოსაკვლევი გარემოებანი;
- 266-ე - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება;

საია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობს თავისი ბუნებით/შინაარსით სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევების განხილვა/გადაწყვეტას სათანადო საპროცესო გარანტიების (მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილების, უტყუარი მტკიცებულებების, უდანაშაულობის პრეზუმციის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის) გარეშე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველსა და მე-5 პუნქტებს და მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ერთადერთი ნორმატიული აქტია, რომელიც დღემდე მოქმედებს. მისი გამოყენებით ყოველდღიურად არაერთი პირის უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვა ხდება. საია

წლების განმავლობაში აყენებს კოდექსის შეცვლის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება დაასრულებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციურ გამოყენებას და გამოიწვევს კანონმდებლობის სრულ რეფორმას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან დაკავშირებით საიას სხვა სარჩელებს გაეცანით **ბმულზე**